# შირაქი

SHIRAKI

www. open.ge

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№36 (9.750)

17-24 სექტემბერი 2016 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა




„საკმაოდ კომპეტენტური ადამიანები ჩაატარებენ არჩევნებს“...

გვ.5

## ახალი სასწავლო წელი დაიწყო



გვ. 3



გვ. 4

## „სამშობლო ჩვენი ეზოს ჭიშკართან არ მთავრდება“...

## ახალი ბიბლიოთეკა, გულთბილი მასპინძელი და ფინჯანი ყავა...



გვ. 5

## დედოფლისწყაროს მალე ნოტარიუსი ეყოლება

საქართველოს ნოტარიუსთა პალატა

გვ.2



## თამარ მეფის კაბა 5 000-მდე მარგალიტითა და 300-ზე მეტი ძვირფასი ქვით გაფორმდა

გვ.8

### ყურადღება!

საქართველოს საარჩევნო კოდექსის მუხლი 50.2-4-ით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად, წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში, გაზეთი „შირაქი“ ყველა საარჩევნო სუბიექტს დაუთმობს საგაზეთო ფართს პოლიტიკური რეკლამისათვის. 8 ოქტომბრამდე გაზეთი „შირაქი“ ყოველკვირეულად, თითოეულ ნომერში საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე საარჩევნო პარტიებსა და კანდიდატებს გაზეთის ფართს დაუთმობს, რომელიც განკუთვნილი იქნება ფასიანი პოლიტიკური რეკლამისთვის და თანაბრად გადანაწილდება ყველა საარჩევნო სუბიექტზე. ფასიანი პოლიტიკური რეკლამისთვის გამოყოფილი გაზეთის ერთი გვერდის ფასი კი 150 ლარით განისაზღვრება.

# ტესტირების საბოლოო შედეგები ცნობილია

2016 წლის 13 ივლისს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობამ
გამოაცხადა ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა კონკურსი ექვს
ვაკანტურ თანამდებობაზე. დარეგისტრირდა 39 (ოცდაცხრამეტი) კონკურსანტის 57( ორმოცდაჩვიდმეტი) განაცხადი. კონკურსის პირველ ეტაპზე ოთხ კონკურსანტს უარი ეთქვა ტესტირების ეტაპზე გადასვლაზე საკვალიფიკაციო მოთხოვნებით გათვალისწინებული დოკუმენტების წარმოუდგენლობის გამო.

35 (ოცდათხუთმეტი) კანდიდატი გადავიდა ტესტირების ეტაპზე. ტესტირების ეტაპი ჩატარდა მიმდინარე წლის 22 აგვისტოს ქ. თბილისში იუსტიციის სასწავლო ცენტრის მიერ. ტესტირებაზე არ გამოცხადდა 22 (ოცდაორი) კანდიდატი. ტესტირებისთვის დადგენილი მინიმალური ბარიერი 31 ქულა ვერ გადალახა ხუთმა კანდიდატმა. გასაუბრების ეტაპზე გადავიდა რვა კონკურსანტი. გასაუბრების ეტაპი ჩატარდა მიმდინარე წლის 29 აგვისტოს ქ. დედოფლისწყაროში.

საკონკურსო-საატესტაციო კომისიამ მიმდინარე წლის 31 აგვისტოს დაამტკიცა გასაუბრების შედეგები და მიიღო გადაწყვეტილება ხუთ ვაკანტურ თანამდებობაზე კანდიდატის დასანიშნად წარდგენაზე, ხოლო ერთი ვაკანტური თანამდებობა გამოცხადდა ჩაშლილად.

კონკურსის არც ერთი ეტაპის შედეგი არ გასაჩივრებულა.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი
თვითმმართველობის მოხელეთა
საკონკურსო-საატესტაციო კომისია

# დედოფლისწყაროს მალე ნოტარიუსი ეყოლება

დედოფლისწყაროს 8 თვეა ნოტარიუსი არ ჰყავს. ჩატარებული კონკურსის შედეგად, საქართველოს იუსტიციის მინისტრმა მუნიციპალიტეტში ნოტარიუსი 2016 წლის 17 სექტემბრიდან დანიშნა.

იუსტიციის მინისტრის ინიციატივით განხორციელებული საკანონმდებლო რეფორმის შედეგად, მაღალმთიან დასახლებებსა და მუნიციპალიტეტებში, სადაც სანოტარო მომსახურება სათანადოდ ხელმისაწვდომი დღემდე არ ყოფილა, ნოტარიუსები სამი წლის ვადით, სავალდებულო წესით, ინიშნებიან. ადგილობრივ მოსახლეობას სანოტარო მომსახურების მისაღებად უახლოეს მუნიციპალიტეტში წასვლა აღარ მოუწევს და ადგილზე ისარგებლებს სანოტარო სერვისებით.

დედოფლისწყაროში მუშაობას ნოტარიუსი 1 ოქტომბრიდან დაიწყებს და მოსახლეობას ფიროსმანის ქ. N18-ში (იგივე მისამართზე) მოემსახურება.

# პრემიერმა კახეთის გუბერნატორად ირაკლი ქადაგიშვილი წარადგინა

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა კახეთის გუბერნატორად ირაკლი ქადაგიშვილი წარადგინა. მან ამ პოსტზე ირაკლი შიოლაშვილი შეცვალა, რომელიც "ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" სიღნაღი-დედოფლისწყაროს გაერთიანებულ ოლქში მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატია. პრემიერმა შიოლაშვილს გაწეული საქმიანობისთვის მადლობა გადაუხადა.

"ბატონი ირაკლი შიოლაშვილი არჩევნებში იღებს მონაწილეობას და გამომდინარე აქედან მან დატოვა გუბერნატორის პოსტი. მინდა წარმოგიდგინოთ კახეთის გუბერნატორის პოსტზე ირაკლი ქაგადიშვილი. ბატონი ირაკლი საზოგადოებისთვის კარგად არის ცნობილი. იგი იყო პირველი მოწვევის პარლამენტის წევრი. არჩეული იყო თბილისის საკრებულოს წევრად და ასევე გახლდათ კათოლიკოს-პატრიარქის საქველმოქმედო ფონდის მენეჯერი.

2012 წელს კოალიცია „ქართული ოცნების" საარჩევნო შტაბში იყო კახეთის მიმართულების კურატორი. მას აქვს ძალიან სერიოზული გამოცდილება. არის უაღრესად წესიერი ადამიანი და ყველა ჩვენგანი დარწმუნებული ვართ, რომ ძალინ ბევრ წარმატებას მიაღწევს ჩვენს გუნდთან ერთად. მოხარული ვარ, რომ ასეთი ადამიანი იქნება ამ ძალინ მნიშვნელოვანი მიმართულების ხელმძღვანელი", - განაცხადა კვირიკაშვილმა და მას წარმატება უსურვა.

პრემიერმა ირაკლი შიოლაშვილს გაწეული საქმიანობისთვის მადლობა გადაუხადა და მასაც წარმატებები უსურვა მაჟორიტარულ არჩევნებში ბრძოლაში.

# გიორგი კვირიკაშვილი – ჩვენ გვინდა სიყვარულზე დაფუძნებული, აგუგუნებული, გაფერადებული, განათებული ქვეყანა, დაქოქილი ეკონომიკით

ჩვენ გვინდა სიყვარულზე, ხვალინდელ დღეზე დაფუძნებული, აგუგუნებული, გაფერადებული, განათებული ქვეყანა, დაქოქილი ეკონომიკით და მეტი სიყვარულით - ასეთ ქვეყანას ავაშენებთ ყველა თქვენგანთან ერთად, - ამ სიტყვებით მიმართა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა სამგორის რაიონის მოსახლეობას, რომელსაც „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს" მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები - მარიამ ჯაში, გიორგი მოსიძე და შოთა ხაბარელი წარუდგინა.

როგორც "ინტერპრესნიუსს" "ქართული ოცნებიდან" აცნობეს, მთავრობის მეთაურის თქმით, ქვეყანაში წინსვლა და განვითარება შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საზოგადოება დამშვიდდება და ერთმანეთისადმი სიყვარულით განიმსჭვალება.

„ეს ყველაფერი მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, თუ არ იქნება სიძულვილი და ყოველ დილით იმის კითხვა, წინა ღამით რომელმა პოლიტიკოსმა რომელი შეჭამა ტელეეთერში, ვინ ვის აჯობა, ვინ უფრო მეტი ღვარძლი გადმოანთხია და ა.შ. ეს უნდა დასრულდეს. 25 წელი გავიდა - მეოთხედი საუკუნე, რაც საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა. სამწუხაროდ, ამ 25 წლის მანძილზე ჩვენ ვერ მივიღეთ გაკვეთილი იმ მწარე საკუთარი შეცდომებიდან, რომლებიც დამოუკიდებლობის მოპოვების დასაწყისშივე დავუშვით. იქიდან მოყოლებული, ჩვენი ცხოვრება წარმატებების და ამავე დროს შეცდომების ერთი დიდი ისტორიაა. ამიტომ, ახლა მაინც, საზოგადოება დავამშვიდოთ, ერთმანეთის მიმართ მეტი სიყვარული, მეტი მოთმინება გამოვიჩინოთ, ვიყოთ კონსტრუქციულები. სიყვარულიდან წამოვიდეს ის შენიშვნაც, რასაც ჩვენ თანამოქალაქეებს ვაძლევთ და არა სიძულვილიდან და მოგების სურვილიდან, რადგან ვერავინ იქნება მოგებული, თუ ასე გაგრძელდა. ადამიანისა და სამშობლოს სიყვარული მოდის იქიდან, რომ ჩვენ გვიყვარდეს ერთი, რიგითი, უბრალო, არაფრით გამორჩეული ადამიანი. მხოლოდ ასე შევძლებთ, ავაშენოთ უკეთესი ქვეყანა და ოთხი წლის თავზე ვიამაყოთ წარმატებებით. ასეთი ქვეყანა გვინდა ჩვენ და ასეთ ქვეყანას ვაშენებთ ამ გუნდთან ერთად. დარწმუნებული ვარ, ქართველი ხალხი ბრძენია, საქართველო მდიდარია მისი მრავალეროვანი შემადგენლობით, იმ კულტურით, რომელიც მრავალფეროვანია, მაგრამ ერთი ძლიერი ქართული სახელმწიფოს შემადგენელი ნაწილია", - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

# ბიძინა ივანიშვილი – 4 წლის შემდეგ ვიქნები ნაკლებად აქტიური, რადგან საზოგადოება იქნება უფრო აქტიური

მე საქართველოში ვაპირებ ცხოვრებას, თუმცა ნაკლებად აქტიური ვიქნები 4 წლის შემდეგ, რადგან საზოგადოება იქნება უფრო აქტიური და კარგად გააცნობიერებს ვის და როგორ მისცეს ხმა, - ამის შესახებ საქართველოს ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა რაჭაში განაცხადა.

ივანიშვილი იმედოვნებს, რომ 4 წლის შემდეგ საზოგადოებას 3-4 პარტიას ურჩევს, თუ ვის დაუჭიროს მხარი.

"მე საქართველოში ვაპირებ ცხოვრებას, თუმცა ნაკლებად აქტიური ვიქნები 4 წლის შემდეგ, რადგან საზოგადოება იქნება უფრო აქტიური და კარგად გააცნობიერებს ვის და როგორ მისცეს ხმა. დიდი სურვილი მაქვს, რომ 4 წლის შემდეგ გამოვიდე, 3-4 პარტია დავასახელო და ვთქვა, რომ ამ პარტიებს ხელეწიფებათ ქვეყანა სწორი მიმართულებით წაიყვანონ", - განაცხადა ივანიშვილმა.

მისივე თქმით, "ქართულ ოცნებას" არ აქვს ალტერნატივა და სამწუხაროდ, ერთადერთი გუნდია, რომელსაც შეიძლება მივანდოთ ქვეყნის მართვა.

"ქართულმა ოცნებამ" დაამტკიცა 4 წლის განმავლობაში, რომ შეუძლია დემოკრატიულად მართოს სახელმწიფო. ჩემთან დაკავშირებით აკეთებენ მინიშნებებს, რომ კვირიკაშვილი არავინ არ არის. კვირიკაშვილი არის საოცრად დაბალანსებული და საოცრად ნიჭიერი კაცი. მას შეუძლია გუნდიც სწორად შეარჩიოს. ეს კაცი უყურებს ზნეობას და ზნეობრივ დარღვევებსაც არ გააკეთებს. ეს პარტია ზრუნავს ხალხზე და შეინარჩუნა ის სტანდარტები", - განაცხადა ივანიშვილმა.

# „მსოფლიო ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის" თანახმად, საქართველოს 159 ქვეყანას შორის მე-5 ადგილი უკავია

„ფრაზერის ინსტიტუტის" მიერ გამოქვეყნებული „მსოფლიო ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის" თანახმად, საქართველოს 159 ქვეყანას შორის მე-5 ადგილი უკავია, - ამის შესახებ პრემიერმინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა მთავრობის დღევანდელ სხდომაზე განაცხადა.

გიორგი კვირიკაშვილმა რეიტინგის შედეგები პოზიტიურ სიახლედ შეაფასა და მთავრობის წევრებს აღნიშნული ინფორმაციის მაქსიმალურად გავრცელებისკენ მოუწოდა.

„მინდა გამოვეხმაურო ძალიან სასიხარულო ამბავს - საერთაშორისო სარეიტინგო კომპანია „ფრაზერის ინსტიტუტმა" გამოაქვეყნა "ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის" 2016 წლის მონაცემები და ამ შედარებით ინდექსში მსოფლიოს 159 ქვეყანას შორის საქართველო მე-5 ადგილზე იმყოფება ისეთი ქვეყნების შემდეგ, როგორიცა ჰონგ კონგი, სინგაპური, ახალი ზელანდია და შვეიცარია. ეს არის ძალიან დიდი წინსვლა. შედარებისთვის მინდა ვთქვა, რომ 2015 წელს ჩვენ ვიყავით მე-12 პოზიციაზე, 2014 წელს - მე-16, 2013 წელს — 21-ე, 2012 წელს — 53-ე. ეს არის ძალიან დიდი პროგრესი, რომელიც განპირობებულია ისეთ სფეროებში წინსვლით, როგორიცაა ფინანსების ხელმისაწვდომობა, საკანონმდებლო სისტემისა და საკუთრების უფლების დაცვა და სხვა მიმართულებები. ეს არის ძალიან დიდი წინსვლა, საქართველოს საერთაშორისო იმიჯისთვის არის ძალიან მნიშვნელოვანი და ყველა ჩვენგანმა მაქსიმალურად უნდა გავავრცელოთ ეს ინფორმაცია, რომ მეტი ინვესტიციები იქნას მოზიდული", - განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

# დიმიტრი ქუმსიშვილი – ჩინეთის ბაზარი იძლევა ზღვა შესაძლებლობებს და დარწმუნებული ვარ, რომ კერძო სექტორი ამას გამოიყენებს

ჩინეთის ბაზარი იძლევა ზღვა შესაძლებლობებს და მე დარწმუნებული ვარ, რომ კერძო სექტორი ამ შესაძლებლობებს სრულიად გამოიყენებს. ამის შესახებ პირველმა ვიცე-პრემიერმა, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ჩინეთთან გაფორმებული თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულების მნიშვნელობაზე საუბრისას განაცხადა.

როგორც დიმიტრი ქუმსიშვილმა აღნიშნა, დღეს ქართული ღვინო როდესაც შედის ჩინეთის ბაზარზე, გვაქვს 42%-მდე დამატებითი გადასახადი, შეთანხმებით კი ეს გადასახადი მოიხსნება და განულდება.

„ძალიან რომ გავამარტივო, შარშან ჩვენ 8 მილიონ დოლარზე მეტი ღირებულების ღვინო გავყიდეთ ჩინეთში. წელს 8 თვეში, ექვსნახევარ მილიონზე მეტი ღვინო გვაქვს გაყიდული. თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების ძალაში შესვლის შემდეგ ჩვენ ვფიქრობთ, რომ პირველ წლებში გაყიდვები 5-ჯერ, 6-ჯერ უნდა გავზარდოთ, ხოლო შემდგომში 10-ჯერ და მეტჯერ. დღეს როდესაც ქართული ღვინო ჩინეთის ბაზარზეც შედის, ჩვენ 42 პროცენტამდე დამატებითი გადასახადები გვაქვს. ჩვენი შეთანხმებით, აღნიშნული გადასახადი მოიხსნება და განულდება. ეს გადასახადი განულდება ხელმოწერისთანავე და არ გვექნება გარდამავალი პერიოდი, როგორც ამას ჩვეულებრივ ჩინეთი დებს ხოლმე ხელშეკრულებებში სხვა ქვეყნებთან მიმართებაში", - განაცხადა დიმიტრი ქუმსიშვილმა.

მისივე თქმით, საქართველოში ნაწარმოები პროდუქცია ღვინო, მინერალური წყალი და ყველა პროდუქტი, რასაც ქვეყანა აწარმოებს ან აქვს უნარი, რომ აწარმოოს, ჩინეთის ბაზარზე დამატებითი საბაჟო გადასახადის გარეშე შევა.

„ეს არის მილიარდნახევრიანი ძალიან მზარდი მოთხოვნილებების ბაზარი. ეს არის ბაზარი, რომელიც იძლევა ზღვა შესაძლებლობებს და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ კერძო სექტორი ამ შესაძლებლობებს სრულიად გამოიყენებს", - განაცხადა დიმიტრი ქუმსიშვილმა.

# ახალი სასწავლო წელი დაიწყო

**ახალი სასწავლო წელი ბევრი პოზიტიური სიახლით დაიწყო დედოფლისწყაროში. გაირკვა, რომ გასულ წელს სკოლის კარი პირველად 177 მოსწავლემ შეაღო, წელს კი მატება თვალშისაცემია და ამჯერად 250 პირველკლასელი დარეგისტრირდა. აქედან 232 საჯარო სკოლის მოსწავლეა, დანარჩენი კერძო სკოლებში შევიდა. გასული წლისგან განსხვავებით წელს ხორნაბუჯის საჯარო სკოლაში პირველი კლასის გახსნა რუსულ სექტორზეც მოხერხდა.**

მრავალწლიანი ოცნება აუხდათ სოფელ სამრეკლოს მაცხოვრებლებს. სამრეკლოს საჯარო სკოლა მთლიანად ცენტრალურ გათბობაზე გადავიდა, რის გამოც შეშის ღუმელი წელს ამ სკოლაში აღარ დაინთება. დედოფლისწყაროს საგანმანათლებლო რესურსცენტრში ამბობენ, რომ უახლოეს ხანში სხვა სკოლების გათბობაც მოწესრიგდება. თითქმის ყველა სკოლაში მასობრივად განახლდა სასკოლო მერხებიც.

ეთერ ზურიკაშვილი: „მინდა ყველას მივულოცო ახალი სასწავლო წლის დაწყება. შესაძლებლობების ფარგლებში ყველა სკოლამ გააუმჯობესა ინფრასტრუქტურა, განაწილდა ნოუთბუქები და სასწავლო წიგნები. ყველა სკოლაში შექმნილია სწავლისთვის შესაბამისი გარემო. ცენტრალური გათბობა მოეწყო სოფელ სამრეკლოში და სულ მალე კიდევ რამდენიმე სკოლაში გაკეთდება გათბობა, რაც თავიდან აგვარიდებს შეშის ღუმელს და მასთან დაკავშირებულ დისკომფორტს. ეს წელი წარმატებული იყო აბიტურიენტებისთვისაც, რითიც ვამაყობთ,

ეთერ ოთარაშვილი **(პირველი საჯარო სკოლის დირექტორი):** „წელს 55 მოსწავლე მივიღეთ და ტრადიციულად ორი პირველი კლასი შეიქმნა. შარშან 37 პირველკლასელი გვყავდა და წელს საკმაო მატებაა, რაც სასიამოვნოა. სარემონტო სამუშაოები იგეგმებოდა, ცოტა ხნით გადაიდო, მაგრამ აუცილებლად განხორციელდება. სხვა მხრივ ყველანაირად მზად ვართ.“

ლალი იაკობიშვილი-ჩერქეზიშვილი **(მეორე საჯარო სკოლის დირექტორი):** „ჩვენს სკოლაში 230 მოსწავლეა, აქედან 16 პირველკლასელი. დიდი ენთუზიაზმით ვხვდებით. დაწყებითების კორპუსში ჩატარდა რეაბილიტაცია. მომდევნო წლების განმავლობაში სხვა კლასებიც გარემონტდება.

ნელი აფციაური **(ხორნაბუჯის სკოლის დირექტორი):** „26 მოსწავლე დარეგისტრირდა პირველ კლასში, აქედან 6 მათგანი რუსულენოვანია, რის გამოც გასული წლის ჩავარდნა გამოვასწორეთ და ამჯერად რუსული სექტორის გახსნაც შევძელით. ამ დრომდე მოსწავლეთა საკმარისი რაოდენობა აღარ შემოდიოდა და რუსული სექტორი ვერ იხსნებოდა. ახლა ყველანაირად მზად ვართ, ორივე სექტორი ამოქმედდა, სრული მზაობა გვაქვს სასწავლო წლის წარმატებით დასაწყებად და როგორი ენერგიითაც ახლა ვიწყებთ, დარწმუნებული ვარ, ასეთივე წარმატებულად დავხურავთ ამ სასწავლო წელს. მოწესრიგდა გათბობის სისტემის საქვაბე მეურნეობა და წელს ვგეგმავთ თავად გათბობის განახლებას.

ნანა ჭილიტაშვილი: **(სამრეკლოს საჯარო სკოლის დირექტორი):** „ჩვენი სკოლა სამოქმედო გეგმაშია ჩასმული და წელსვე ხელოვნურსაფარიანი გარე სპორტული მოედანი კეთდება, რომელიც მანამდე არ გვქონდა. გაკეთდება ასასვლელი კიბე და მასზე სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებისთვის ლიფტი მოეწყობა. წელს 20 მოსწავლე მივიღეთ პირველ კლასში, ეს გაცილებით მეტია, ვიდრე სხვა წლებში. შარშან 12 პირველკლასელი გვყავდა. რაც ყველაზე მთავარია, დირექტორად დანიშვნის პირველივე დღიდან ვიბრძოდი, გათბობა გვქონოდა. წელს სამინისტროდან ჩვენს სკოლას 106 667 ლარი გამოეყო, რითაც გათბობა დამონტაჟდა და ეს ჩვენი დიდი ხნის ოცნება იყო. კარგად მოგეხსენებათ, შეშის ღუმელი ქარიან ამინდში როგორ დისკომფორტს იწვევს. საკლასო ოთახებში ბოლი ხშირად დგებოდა და იძულებული ვხდებოდით, კლასები დაგვეცალა და შენობის სხვა მხარეს გაგვეგრძელებინა გაკვეთილები. ასე კი სასწავლო პროცესი ხშირად ჩავარდნის საფრთხის წინაშე იყო. ბედნიერი ვარ, რომ ამიერიდან ეს პრობლემა გადაიჭრა და ბევრად კომფორტულ გარემოში ვიმუშავებთ. სხვა მხრივაც წარმატებული წელი იყო ჩვენთვის, საკმაოდ კარგი შედეგებით გვასახელეს აბიტურიენტებმა. ერთმა აბიტურიენტმა ნიკა ტალიაშვილმა ასპროცენტიანი დაფინანსება მოიპოვა, მარიამ ძმანაშვილმა და ეკა ნასრაშვილმა კი 70%-იანი გრანტი მიიღეს. იმედი მაქვს, ეს ტემპი შენარჩუნდება და შედეგები უფრო განვითარდება“.












თეა სხირტლაძე **(საპატრიარქოს სკოლის დირექტორი)**: „მოსწავლეთა რაოდენობა გაიზარდა სულ 86 მოსწავლე და 13 პრე-კლასის მოსწავლე ფიქსირდება, ინფრასტრუქტურაც გაუმჯობესებულია, კომპიუტერული ტექნიკა დაგვემატა. ნელნელა ვვითარდებით. მართალია, ახლახან, მომხდარმა ხანძარმა 200 000 ლარიანი ზარალი მოგვაყენა, მაგრამ ამან სკოლის ფუნქციონირება ვერ შეაფერხა. ზედა საფეხურისთვის ვამზადებდით ახალ შენობას, რომელიც ცოტა გაჭიანურდება. სამწუხაროდ, ჯერჯერობით შემოწირულობა არ დაფიქსირებულა, ამიტომ ფიზიკურად რაც შესაძლებელია, ის სამუშაოები მიმდინარეობს დამწვარ შენობაში. იგეგმება სამი საკლასო ოთახის გახსნა, ასევე დიდი სატრაპეზო, სპორტდარბაზი და სამასწავლებლო ოთახი“

ნიკოლოზ ჯანიაშვილი **(დედოფლისწყაროს გამგებელი):** „მინდა მოსახლეობას ახალი სასწავლო წელი მივულოცო. ძალიან პოზიტიური დღე იყო და იმედით ავივსე. სასიამოვნო იყო შობადობის ზრდის მაჩვენებლის დაფიქსირება და სხვადასხვა პოზიტიური ძვრები, რაც თითქმის ყველა სკოლას შეეხო. მათი ანთებული თვალები და განწყობა გადამდები აღმოჩნდა. მთელი მუნიციპალიტეტი ახმაურდა და გამოცოცხლდა. შთამბეჭდავი იყო აბიტურიენტების შედეგებიც და დღე დაგვირგვინდა იმით, რომ განათლების სამინისტროს წარმომადგენლები იმყოფებოდნენ დედოფლისწყაროში და განიხილეს ზემო მაჩხაანის ახალი სკოლის მშენებლობის საკითხი. სავარაუდოდ, იანვრიდან სკოლის დემონტაჟი და ახლის აგება უნდა დაიწყოს და ესეც საკმაოდ საშვილიშვილო პროექტი იქნება.“

ილია მარტყოფლიშვილი

* * *

ახალი სასწავლო წელი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფლებშიც დაიწყო. 15 სექტემბერს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ ერთეულებთან ურთიერთობის კოორდინაციის განყოფილების უფროსი მალხაზ მერაბიშვილი და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელი სოფელ ზემო ქედის ადმინისტრაციულ ერთეულში ბეჟან სუხაშვილი ზემო ქედის პირველ და მეორე საჯარო სკოლებს ესტუმრნენ და მოსწავლეებს, პედაგოგებსა და მშობლებს პირადად მიულოცეს სასაწავლო წლის განახლება. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ არხილოსკალოს საჯარო სკოლის მოსწავლეებს სწავლის დაწყება დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელმა არხილოსკალოს ადმინისტარციულ ერთეულში ემზარ კობაიძემ მალხაზ მერაბიშვილთან ერთად მიულოცა და წარმატებები უსურვა. ასევე სასწავლო პროცესი დაიწყო ზემო მაჩხაანის სკოლაში. მოსწავლეებს სწავლის დაწყება დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველმა მოადგილემ სოლომონ ღორაშვილმა, რესურსცენტრის უფროსმა ეთერ ზურიკაშვილმა,განათლების სამინისტროს წარმომადგენელმა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელმა სოფელ ზემო მაჩხაანის ადმინისტრაციულ ერთეულში გიორგი იაკობიშვილმა მიულოცეს და პირველკლასელებს საჩუქრად კომპიუტერები გადასცეს.



# „სამშობლო ჩვენი ეზოს ჭიშკართან არ მთავრდება“...

ვაშლოვანის ნაკრძალის ადმინისტრაციის თანამშრომლებმა 16 სექტემბერს დასუფთავების აქცია ჩაატარეს და გაწმინდეს „არწივის ხეობის“, „ხორნაბუჯის“ (თამარის ციხე) ბუნების ძეგლებისა და გედიქის წყაროს მიმდებარე ტერიტორია.







მერაბ ფიროსმანაშვილი - **ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის დირექტორი:** “დასუფთავების მსოფლიო დღესთან დაკავშირებით ჩვენ მუნიციპალიტეტის გამგეობის დახმარებით ჩავატარეთ ეს აქცია, რომლის ფარგლებშიც მოვაწესრიგეთ ჩვენი ბუნების ძეგლების–ხორნაბუჯისა და არწივის ხეობის ტერიტორია, ასევე დავასუფთავეთ გედიქის წყაროს მიმდებარე ტერიტორია, საიდანაც გავიტანეთ საყოფაცხოვრებო ნაგავი. მინდა ვთქვა, რომ მსგავს აქციებს ჩვენი ორგანიზაცია პერმანენტულად ატარებს, და არ ელოდება მხოლოდ მსოფლიო დასუფთავების დღეს”.

ვაჟა ჩერქეზიშვილი: „სამწუხაროა, რომ მოსახლეობის უმეტესობას არ ანალვლებს ჩვენი ქვეყნის ეკოლოგიური მდგომარეობა. ხშირად ჩვენ არ ვუფიქრდებით, რა ზიანი შეიძლება მოუტანოს გარემოს უკონტროლოდ გადაყრილმა საყოფაცხოვრებო ნარჩენებმა. სამშობლო ჩვენი ეზოს ჭიშკართან არ მთავრდება. მის გარეთაც ზღვა, მთები, ტყეები, მინდორ-ველები, მდინარეები, წყაროები ჩვენი სამშობლოა და ისევე უნდა გავუფრთხილდეთ, მოვუაროთ და დავასუფთავოთ, როგორც ჩვენი საკუთარი ეზო“...



საერთაშორისო გარემოსდაცვითი კამპანია „დავასუფთაოთ მსოფლიოს“ ფარგლებში 16 სექტემბერს, საქართველოს დედაქალაქსა და რეგიონებში სამდღიანი აქცია „დავასუფთაოთ საქართველო“ დაიწყო. ამ აქცის დედოფლისწყაროც შეუერთდა.

როგორც გარემოს დაცვის მინისტრმა განაცხადა, აქციის მიზანია, ადამიანები გაერთიანდნენ შემდეგი მიზნის გარშემო - შეუქმნან საკუთარ შვილებსა და ოჯახს ჯანმრთელ გარემოში ცხოვრების პირობები.

კამპანია სამინისტროს მხარდაჭერითა და შვედეთის მთავრობის ფინანსური უზრუნველყოფით ხორციელდება, რომელსაც ორგანიზებას უწევს პროექტის - „დავასუფთაოთ საქართველოს“ განმახორციელებელი არასამთავრობო ორგანიზაციათა კონსორციუმი (,,საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველო“, საქართველოს ბუნების მკვლევართა კავშირი „ორქისი“ და ,,ეკოლოგიური ცნობიერების ამაღლება და ნარჩენების მართვა“).

საერთაშორისო გარემოსდაცვითი კამპანია „დავასუფთაოთ მსოფლიო“ 1992 წელს გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამის (UNEP) თაოსნობით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ დააფუძნა. კამპანიის მოწოდებაა: ჩვენი ქვეყანა... ჩვენი პლანეტა... ჩვენი პასუხისმგებლობაა... აღნიშნული ღონისძიება საქართველოში უკვე მეშვიდედ ტარდება.

ინგა შიოლაშვილი

# საპატრიარქოს სკოლა დაასუფთავეს





16 სექტემბერს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლის დამწვარი ნაწილის ტერიტორია „ქართული ოცნების“ ახალგაზრდული ფრთის წარმომადგენლებმა დაასუფთავეს. მოგეხსენებათ, სკოლის ერთი ნაწილი 17 აგვისტოს მომხდარმა ხანძარმა სერიოზულად დააზიანადამწვარია სკოლის 1300 კვადრატული მეტრი. როგორც აქციის ორგანიზატორებმა განაცხადეს, ეს არის სკოლის აღდგენით სამუშაოებში მათი მცირე წვლილი, რომლის გაღებაც შეუძლიათ. „ჩვენ იმდენი ფინანსური რესურსი არ გვაქვს, რომ სკოლის აღდგენას თანხით შევეწიოთ, ამიტომ გადავწყვიტეთ, სოლიდარობა ამ ფორმით გამოგვეხატა“.





# „საკმაოდ კომპეტენტური ადამიანები ჩაატარებენ არჩევნებს“...

საარჩევნო კამპანია აქტიურ ფაზაში შევიდა. ცნობილია, რომ მაჟორიტარული წესით სიღნაღისა და დედოფლისწყაროს ოლქები გაერთიანდა და ახალი მოწვევის პარლამენტში ამ ორ რაიონს ერთი მაჟორიტარი დეპუტატი ეყოლება. ორი ოლქის შეერთებით კი სიღნაღი-დედოფლისწყარო ერთ-ერთი მსხვილი ოლქი გახდა, რომელიც ამომრჩეველთა სიმრავლით ქვეყნის მასშტაბით მერვე ადგილზეა. არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური სუბიექტების კანდიდატები მოსახლეობას ყოველდღიურად ხვდებიან და საკუთარი პარტიის პროგრამას აცნობენ. უხვად ისმის დაპირებებიც.

საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე კანდიდატების რეგისტრაციის ვადა 8 სექტემბერს ამოიწურა. აქტიურ რეჟიმში მუშაობს დედოფლისწყაროს საოლქო საარჩევნო კომისია.

გაზეთ „შირაქის“ ინფორმაციით, ადგილზე რეგისტრაცია მხოლოდ სამმა კანდიდატმა გაიარა. პატრიოტთა ალიანსიდან ანა (ნაირა) ალავერდაშვილი დარეგისტრირდა, რესპუბლიკელებიდან - ნოდარ ტოკლიკიშვილი, ხოლო ბურჯანაძე-დემოკრატებიდან მამუკა ყაჯრიშვილია წარდგენილი. დანარჩენმა კანდიდატებმა რეგისტრაცია თბილისში ცესკო-ში გაიარეს.

საერთო ჯამში, დედოფლისწყაროსა და სიღნაღის მაჟორიტარი დეპუტატობის მანდატისთვის შვიდი კანდიდატი იბრძოლებს.

**„ქართული ოცნებიდან“** - ირაკლი შიოლაშვილი

**„პატრიოტთა ალიანსიდან“** - ანა (ნაირა) ალავერდაშვილი

**„რესპუბლიკელებიდან“** - ნოდარ ტოკლიკიშვილი

**„ბურჯანაძე-დემოკრატებიდან“** - მამუკა ყაჯრიშვილი

**„თავისუფალი დემოკრატებიდან“** - ლევან ჯამალაშვილი

**„პაატა ბურჭულაძე – სახელმწიფო ხალხისთვის“** - გიორგი მჭედლიშვილი

„ნაციონალური მოძრაობიდან“ - ლევან ბეჟაშვილი.

ამჟამად რა სამუშაოებითაა დაკავებული და რამდენად მზადაა დედოფლისწყაროს საოლქო-საარჩევნო კომისია კენჭისყრის პროცესისთვის, ამის გასარკვევად ქალაქის ცენტრალურ მოედანზე მდებარე კომისიის ოფისს ვეწვიეთ, სადაც საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა გადამზადება მიმდინარეობდა.



ნინო მჭედლიშვილი (№14-ე დედოფლისწყაროს საოლქო-საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე): „ჩვენი საოლქო კომისია ამ ეტაპზე დამხმარე ოლქის ფუნქციას ასრულებს. ოლქების გამსხვილების შემდეგ ძირითადი მოვალეობები სიღნაღის საოლქო კომისიას დაეკისრა. ჩვენთან არ გაუვლიათ რეგისტრაცია, პირდაპირ სიღნაღმა მოგვაწოდა და გვაქვს ინფორმაცია, რომ ადგილზე მხოლოდ რესპუბლიკელების, პატრიოტთა ალიანსისა და ბურჯანაძის პარტიის კანდიდატები დარეგისტრირდნენ. დედოფლისწყაროში სულ 23 საარჩევნო უბანი გვაქვს. ვადების დაცვით უკვე ავირჩიეთ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები. არჩევნებამდე 1 თვით ადრე,



ანუ 8 სექტემბრიდან გახსნილია საარჩევნო უბნები და უკვე მიმდინარეობს მუშაობა. კომისიის წევრთა გადამზადება გრძელდება და ეტაპობრივად მიმდინარეობს მათი დატრენინგება. გაწერილია გრაფიკი და დღეში 4 კომისია გაივლის პრაქტიკულ და თეორიულ სწავლებას“.

მაია ათაბეგაშვილი (ტრენერი): „ცესკოს სწავლებისა და გადამზადების ცენტრი განაგრძობს ყველა სოფელში მოქმედი საარჩევნო კომისიის წევრთა მომზადებას 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებისთვის. ამჯერად, ცენტრის ტრენერები დედოფლისწყაროს ვესტუმრეთ, რათა საარჩევნო კომისია კვალიფიციურად გაუძღვეს არჩევნების პროცესს. როგორც ნახეთ, მათ პრაქტიკული სავარჯიშოებიც ჰქონდათ და რამდენიმე დღის განმავლობაში ეუფლებიან ყველა დეტალს. ჩვენი საბოლოო მიზანი ისაა, რომ კომისიის წევრებმა სწორად და სამართლიანად წარმართონ ყველა პროცედურა. მინდა გითხრათ, რომ საკმაოდ კომპეტენტური ადამიანები არიან შერჩეულნი“.

ილია მარტყოფლიშვილი

# ახალი ბიბლიოთეკა, გულთბილი მასპინძელი და ფინჯანი ყავა...

უკვე ორი თვეა, დედოფლისწყაროს ცენტრალური საბიბლიოთეკო გაერთიანება ახალ, თანამედროვე სტანდარტების შენობაში გადავიდა, სუფთა, გაჩახჩახებული, ლამაზი ოთახები, კარგი გარემო და თაროებზე კოხტად დალაგებული წიგნები. ახალი ოფისით კმაყოფილები არიან, როგორც მკითველები, ასევე თავად ბიბლიოთეკის თანამშრომლები. გთავაზობთ ინტერვიუს ცენტრალური საბიბლიოთეკო გაერთიანების დირექტორთან მანანა მაჭარაშვილთან, ადამიანთან, რომელსაც ამ სამსახურში თითქმის ორი ათული წელი აქვს გატარებული.

**-ქალბატონო მანანა, სად დაიბადეთ, გაიხსენეთ ბავშვობა და სკოლის წლები...**

-დავიბადე წითელწყაროში, მქონდა საოცრად ლამაზი ბავშვობა, ვიყავი ბუტია და ცოტათი, კარგი გაგებით, გათამამებული ბავშვი, მაგრამ ამას ჩემს შემდგომ ცხოვრებაზე ცუდი გავლენა არ მოუხდენია. საკმაოდ წარმატებით დავამთავრე პირველი საშუალო სკოლა, მიყვარდა სკოლაც, მასწავლებლებიც და თანაკლასელებიც.

**- როგორ განვითარდა სკოლის შემდგომი წლები და ვინ ითამაშა დიდი როლი თქვენი პროფესიის არჩევაში.**

-ვიყავი მაშინდელი პუშკინის სახელობის ინსტიტუტის სტუდენტი, არ მიოცნებია ბიბლიოთეკარობაზე, ისტორიის პედაგოგი მინდოდა ვყოფილიყავი, ნანული მასწავლებლის სიყვარულით, მაგრამ ასე მოხდა, ეხლა, ჩემს სამსახურს არაფერს შევადრი.

**- ვინ არის მანანა მაჭარაშვილი, როგორ დაახასიათებდით საკუთარ თავს?**

-ჩემს თავზე საუბარი მიჭირს, აზრსაც კი ვერ გამოვთქვამ, ვარ ჩვეულებრივი ადამიანი, ვემსახურები ჩემს საქმეს, ოჯახს და სამშობლოს.

**-როდის მოხდა თქვენი ბიბლიოთეკაში მოსვლა და რას ნიშნავს თქვენთვის თითოეული მკითხველი?**

-ჩემს საქმეს 1978 წლიდან ვემსახურები, ჯერ ზემო ქედის ბიბლიოთეკაში ვმუშაობდი, მერე სოფელ წითელწყაროში(ხორნაბუჯი), 1980 წლიდან ცენტრალურ ბიბლიოთეკაში ვიყავი მეთოდისტის პოზიციაზე, ხოლო 2007 წლიდან საბიბლიოთეკო გაერთიანების ხელმძღვანელი ვარ.

**- „გემოვნება სხვა არაფერია, თუ არა დახვეწილი და ჯანსაღი გონება ადამიანისა“, თქვენში იმხელა ინტელექტს ვხედავ, რომ ძნელი გასაგები არაა, როგორი ადამიანი შეიძლება იწვევდეს თქვენში დადებით ემოციებს, მაგრამ მაინც...**

-დადებით ემოციებს იწვევს ყველა პატიოსანი და ნორმალურად მოაზროვნე ადამიანი, სიძულვილი არ შემიძლია, შეიძლება მწყინდეს რაღაც, მაგრამ ადვილად ვივიწყებ, ყოველ შემთვევაში, ვცდილობ. დიდად კონტაქტური არ ვარ, მაგრამ მიყვარს ადამიანური ურთიერთობები და ვცდილობ, შევინარჩუნო კარგი დამოკიდებულება.

**-არაერთი ლამაზი ღონისძიების ავტორი ბრძანდებით, არაერთ მწერალსა თუ შემოქმედზე დაგიმუშავებიათ თემა, უამრავ წიგნთან გაქვთ შეხება, რომელია თქვენი ყველაზე დასამახსოვრებელი ღონისძიება და რომელია თქვენი საყვარელი წიგნი?**

-ჩემთვის ყოველი შემომსვლელი არის ძვირფასი, განსაკუთრებით დღეს, როდესაც მეც და ჩემი თანამშრომლებიც საუკეთესო პირობებში ვმუშაობთ. მადლობა ამისთვის კახეთის გუბერნიას, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობას, საკრებულოს და კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრს. დასამახსოვრებელი ღონისძიება ბევრი ჩაგვიტარებია, შეიძლება, რომელიმე გამომრჩეს და ამიტომ არ ჩამოვთვლი. ერთს გეტყვით,ყველა ჩემი თანამშრომელი წლების განმავლობაში ემსახურებოდა წიგნის სიყვარულს, მუშაობენ მუყაითად და მათში ვხედავ წიგნისადმი უდიდეს მოწიწებას, ეს გადამდებია და ვისურვებდი, ყველას გადაედოს ეს სიყვარული, განსაკუთრებით ახალგაზრდებს. ჩემი საყვარელი მწერალია კონსტანტინე გამსახურდია და მისი ყველა ნაწარმოები უზომოდ მიყვარს, ისე, ცუდი მწერალი და წიგნი არ არსებობს, ადამიანის გონება უნდა დაიტვირთოს აზროვნების მიღების სურვილით.



**-ჰიუგო ამბობდა-„ ლიტერატურა ერის სიდიადის საწყაოა”- თქვენი აზრით, რა არის ლიტერატურა?**

-ძალიან ფილოსოფიურად თუ არ მივუდგებით, ლიტერატურა ყოველდღიური ცხოვრების აღწერა და ანალიზია, ჩვეულებრივი ადამიანები ამას ასე მხატვრულად ვერ ავსახავთ და მწერლები ამ საქმეს სწორედ ჩვენს მაგივრად აკეთებენ-ამიტომ ხანდახან ადამიანები წიგნში თავის თავს და ცხოვრებას ხედავენ.

**-რამდენი წიგნი გაქვთ დღეს თაროზე, რა ლიტერატურაა სიახლე თქვენს ბიბლიოთკაში და რა სამომავლო გეგმები გაქვთ?**

-ცენტრალურ ბიბლიოთეკაში 74 690 ცალი წიგნია, ვცდილობთ ახალი ლიტერატურის შემოტანას მკითველის მოთხოვნილების გათვალისწინებით. გეგმები დიდია, ურთიერთობები სკოლებთან, საბავშვო ბაღებთან, წიგნების პრეზენტაციები, ბიბლიოგრაფიული მიმოხილვები. მხოლოდ სიტყვებით საუბარი არ მიყვარს, საქმით უკეთ გამოჩნდება.

**-მე ყველა რესპოდენტს ვეკითხები და თქვენც არ შემიძლია არ გკითხოთ, მაინტერესებს ყველას აზრი, როგორია თქვენი შეხედულება დღეს საქართველოში არსებული პოლიტიკურ-კულტურულ-ეკონომიკური მდგომარეობისადმი, რას ისურვებდით, რომ იყოს ქვეყანაში და რას ელით კარსმომდგარი არჩევნებისგან?**

-დღეს არჩევნების რეჟიმში ვართ, ველი მხოლოდ კარგს და იმას, რომ არჩეულმა ხელისუფლებამ იზრუნოს ხალხის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაზე. მე, ჩემი პროფესიიდან გამომდინარე, უზომოდ ამაყი ვარ, რომ ასეთ ბიბლიოთეკაში და ასეთ პირობებში გვიხდება მუშაობა, იმედს ვიტოვებ, მომავლისთვის ჩემს თანამშრომლებს მეტი წახალისება ექნებათ სახელფასო ანაზღაურების კუთხით, რაც პირდაპირკავშირშია იმასთან, რომ ისინი მეტი ენთუზიაზმით და სიყვარულით ემსახურონ საყვარელ საქმეს.

ლალი მეხრიშვილი

# ყურძენზე სუბსიდიის თანხის გაცემა დაიწყო

„რთველის 2016"-ის ფარგლებში სახელმწიფო სუბსიდიის გაცემის პროცესი დაიწყო. მევენახეებს, რომლებმაც ღვინის კომპანიებს ყურძენი 15 დღის წინ, ან უფრო ადრე ჩააბარეს, კუთვნილი სუბსიდიის თანხის მიღება „ლიბერთი ბანკის" ნებისმიერ ფილიალში შეუძლიათ.

ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის, გიორგი სამანიშვილის თქმით, მევენახეებმა სუბსიდიის მისაღებად ბანკებს უნდა მიმართონ არაუგვიანეს 15 დეკემბრისა.

„მევენახეს შეუძლია მიმართოს „ლიბერთი ბანკის" ნებისმიერ ფილიალს და მხოლოდ პირადობის მოწმობის წარდგენის საფუძველზე მიიღოს კუთვნილი სახელმწიფო სუბსიდია. მინდა შევახსენო მევენახეებს, რომ ამ თანხის მიღება მათ შეუძლიათ ნებისმიერ დროს, მაგრამ არაუგვიანეს მიმდინარე წლის 15 დეკემბრისა" - აღნიშნა გიორგი სამანიშვილმა.

ღვინის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, 16 სექტემბრის 12.00 საათის მონაცემებით, კახეთის რეგიონში გადამუშავებულია 27 ათასამდე ტონა ყურძენი. აქედან 11,4 ათასი ტონა რქაწითელია, 12,8 ათასი ტონა საფერავი, 1,2 ათასი ტონა კახური მწვანე, დანარჩენი კი სხვადასხვა ჯიშის ყურძენი.

მათივე ცნობით, ღვინის კომპანიებს ყურძენი უკვე 4 ათასზე მეტმა მევენახემ ჩააბარა და ყურძნის რეალიზაციის შედეგად კახეთის რეგიონში მევენახეებმა შემოსავლების სახით 23 მილიონამდე ლარი მიიღეს.

ამ ეტაპისთვის რთველის საკოორდინაციო შტაბში 135 ღვინის კომპანიაა დარეგისტრირებული. ყურძნის გადამუშავების პროცესში ჩართულია 46 ღვინის კომპანია, მათ შორის, 11 სახელმწიფოს მიერ დაქირავებული საწარმო, დანარჩენი სიღნაღის, დედოფლისწყაროს, გურჯაანის, ყვარლის, ლაგოდეხის, თელავისა და ახმეტის მუნიციპალიტეტებში მდებარე კერძო კომპანიები.

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, ღვინის კომპანიებში ყურძნის ჩამბარებელ ფიზიკურ პირებზე გაიცემა სუბსიდია: კახეთის რეგიონში რქაწითელზე და კახური მწვანეზე, კილოგრამზე 45 თეთრი; საფერავზე - 20 თეთრი. რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო-სვანეთის რეგიონში მუჯურეთული/ალექსანდროულზე, კილოგრამზე 2 ლარი.

დაინტერესებულ პირებს რთველთან დაკავშირებული ინფორმაციის მიღება შეუძლიათ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცხელი ხაზზე - 1501.



# ყველა რეგიონი და რაიონი უნდა გადავაქციოთ 4 სეზონიან საკურორტო მიმართულებად

„ტურისტებს უნდა შეეძლოთ ნებისმიერ რეგიონში შეფერხების გარეშე მისვლა. საქართველოს ყველა რეგიონი და რაიონი უნდა გადავაქციოთ 4 სეზონიან საკურორტო მიმართულებად", - განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა პროექტის „ქვეყნის სივრცითი მოწყობა" პრეზენტაციაზე.

როგორც პრემიერმა აღნიშნა, საქართველოს ტერიტორია მდიდარია ბუნებრივი რესურსებით, კულტურული მემკვიდრეობით, ევროპისა და აზიის ეკონომიკურ ბაზრებთან სიახლოვით და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ნიჭიერი ადამიანებით.

„საქართველოს გააჩნია რესურსი, რომ გახდეს ეკონომიკურად მიმზიდველი და დიდი შესაძლებლობების მქონე ქვეყანა. ამისთვის საჭიროა, მისი არსებული მდგომარეობის რაციონალური გააზრება, სწორი სივრცითი დაგეგმვა და განვითარება. რეგიონებში მეტი ჟანგბადის, სისხლის მიწოდება და ერთნაირი პირობების, შესაძლებლობების შექმნა, მიუხედავად გეოგრაფიული მდებარეობისა. ამისთვის საჭიროა შევქმნათ პირობები, რომ ხალხი დაუბრუნდეს მთას და სოფლებს. იქ შექმნას მატერიალური დოვლათი, რომელიც ადგილობრივ პირობებზე იქნება მორგებული და საერთაშორისო ბაზრების მოთხოვნებზე ორიენტირებული. ყველა რეგიონის მოსახლეობისთვის თანაბრად ხელმისაწვდომი უნდა გახდეს ისეთი სერვისები, როგორიც არის ხარისხიანი განათლება, ჯანდაცვა და სოციალური ინფასტრუქტურა. ასევე, მშობლიურ რეგიონებში მოსახლეობის დასაქმებას ხელი უნდა შეეწყოს", - განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

როგორც პრემიერმა განმარტა, „ქვეყნის სივრცითი მოწყობის" პროექტი გულისხმობს ქვეყნის თანამედროვე მოწყობის ხედვას, რომელსაც კონკრეტული გეგმა ახლავს.

„ჩვენ სადაც ვცხოვრობთ, 70 ათასი კვადრატული კილომეტრია და ვართ 3,72 მილიონი ადამიანი. ეს არის ტერიტორიითა და სიმჭიდროვით დაახლოებით ისეთი ქვეყნების მსგავსი, როგორიც არის ირლანდია, ლატვია, ლიტვა და ხორვატია. ქვეყნის შიგნით სიმჭიდროვის მაგალითები ძალიან განსხვავებულია. მაგალითად, თბილისში ჩვენ 1 კვ/კმ-ზე გვყავს 2 207 მცხოვრები, ხევსურეთში - 1, მთელ თუშეთში ზამთარში კი მხოლოდ 30 ადამიანი რჩება და არანაირ სიმჭიდროვეზე საუბარი არაა. ქვეყნის ტერიტორიის 20 %, მოგეხსენებათ, არის ოკუპირებული, 60% წარმოადგენს უნიკალურ შესაძლებლობებს მთიანი რეგიონების, სადაც მოსახლეობის მხოლოდ 5% ცხოვრობს. ქალაქები არის გადატვირთული, ხოლო სოფლებში მოსახლეობა კლებულობს", - განაცხადა პრემიერმა.

# ბაღებში საზეიმო განწყობაა...





15 სექტემბერს ახალი სასწავლო წელი საზეიმოდ დაიწყო დედოფლისწყაროს საბავშვო ბაღებშიც. აქ მისულ ბავშვებს აღმზრდელ-მასწავლებლებთან ერთად ეგებებოდნენ კეთილმოწყობილი შენობებიც. საზეიმო განწყობა იყო დედოფლისწყაროს N2 საბავშვო ბაღში, რომელსაც გაზეთი „შირაქი" სტუმრობდა.

„დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობისა და საალმზრდელო ცენტრის დახმარებით ბაღში ჩავატარეთ მთელი რიგი ღონისძიებები. კერძოდ, მივიღეთ სამეურნეო საქონელი, ინვენტარი, შევიტანეთ ჯგუფებში, შევღებეთ ეზოში მდებარე ატრაქციონები, გავალამაზეთ კედლები და მოვემზადეთ ჩვენი აღსაზრდელების მისაღებად.

წელს კონტიგენტიც საგრძნობლად გაიზარდა, რაც იმის შედეგია, რომ მშობლები კმაყოფილები არიან საბავშვო ბაღებში არსებული სიტუაციით და ენდობიან მას. ახლა სასწავლო გეგმებსაც დავწერთ და შევუდგებით მუშაობას"-განაცხადა საბავშვო ბაღის დირექტორმა მანანა ტოკლიკიშვილმა.





# „თქვენ ისევ ის ზოდიაქოს ნიშნები ხართ, რაც იყავით“ - რა განმარტებას აკეთებენ პროფესიონალი ასტროლოგები „NASA-ს აღმოჩენაზე“

“თქვენმა ზოდიაქოს ნიშანმა განლაგება შეიცვალა. 2000 წლის შემდეგ პირველად, NASA-მ ზოდიაქოს ნიშნები განაახლა”, - გუშინ ამ ნიუსმა ქართული სოციალური ქსლები და ვებ-გვერდები მოიცვა, თუმცა ამბავი ძველია და მასთან დაკავშირებით პროფესიონალი ქართველი ასტროლოგები განმარტებას ჯერ კიდევ წლების წინ აკეთებდნენ.

“ბოლო 2-3 ათასი წლის მანძილზე, ვარსკვლავებმა განლაგება შეიცვალეს. დედამიწაზე ბევრი რამ განვითარდა და შეიცვალა მას შემდეგ, რაც უძველესი ასტროლოგები ცას დააკვირდნენ და ცამაც იგივე გავლენა განიცადა. ამიტომ, დედამიწის მოსახლეობის 86% მცდარი ჰოროსკოპის ნიშანს ატარებს. დაინტერესებულხართ ოდესმე, რატომ არ დაემთხვა სრულად თქვენი მახასიათებლები თქვენსავე ასტროლოგიურ პროფილს? NASA-ს მიერ განახლებულ ზოდიაქოს ნიშნებს თუ დააკვირდებით, გაგაოცებთ მათი სიზუსტე”.

დედამიწის მოსახლეობის 86%, რომელიც ამ ცვლილებას განიცდის, ზოდიაქოს ახალ ნიშანს უკეთესად შეეწყობა. ცოტა ხნით განაახლეთ თქვენი ზოდიაქოს თანავარსკვლავედი და დააკვირდით, როგორ იმოქმედებს იგი თქვენზე. თქვენ მიიღებთ უმნიშვნელოვანეს ინფორმაციას, რომელიც ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბებს.

განახლებული ზოდიაქოები ასე გამოიყურება:

თხის რქა - 20 იანვარი - 16 თებერვალი

მერწყული - 16 თებერვალი - 11 მარტი

თევზები - 11 მარტი - 18 აპრილი

ვერძი - 18 აპრილი - 13 მაისი

კურო - 13 მაისი - 21 ივნისი

ტყუპები - 21 ივნისი - 20 ივლისი

კირჩხიბი - 20 ივლისი - 10 აგვისტო

ლომი - 10 აგვისტო - 16 სექტემბერი

ქალწული - 16 სექტემბერი - 30 ოქტომბერი

სასწორი - 30 ოქტომბერი - 23 ნოემბერი

მორიელი - 23 ნოემბერი - 17 დეკემბერი

მშვილდოსანი - 17 დეკემბერი - 20 იანვარი”, - აღნიშნული ინფორმაცია წლების წინ უცხოურ საიტებსა და სოციალურ ქელებშიც ვრელდებოდა, თუმცა განმარტება ამ საკითხთან დაკავშირებით უცხოელმა ასტროლოგებმაც გააკეთეს.

აი, რას ამბობენ ქართველი ასტროლოგები:

**ქეთი ვაწაძე:**

“ისევ მეცამეტე ნიშნის შესახებ...

მოკლედ და უბრალო ენით რომ ავხსნა, ასტროლოგიაში, ზოდიაქოს სისტემაში გამოიყენება არა თანავარსკვლავედები, არამედ ზოდიაქოს ნიშნები, რომელიც არ არის ერთი და იგივე.

ზოდიაქოს ნიშნები ეკლიპტიკის პირობითი დანაყოფებია, რომლებიც 30 გრადუსისგან შედგება. ზოდიაქოს სისტემის ათვლის წერტილი ვერძის ზონა, უფრო კონკრეტულად კი გაზაფხულის ბუნიაობაა (20-21 მარტი).

ზოდიაქოს სისტემა არის სტატიკური (უძრავი) და რაც არ უნდა მოხდეს, ყოველთვის გაზაფხულის ბუნიაობიდან იწყება, ანუ, 21 მარტს, ყოველწლიურად იბადება ვერძის ნიშნის წარმომადგენელი, 21 აპრილს-კუროსი და ა.შ.

ანუ, ზოდიაქოს სიტემაში ყოველთვის იყო და არის 12 ნიშანი. უბრალოდ ეს გაუგებრობა თანავარსკვლავედებისა და ზოდიაქოს სისტემის გაიგივებამ გამოიწვია, რომელიც პრეცესიის გავლენით დღეს უკვე არააქტუალურია (განსხვავებით ადრეული ეპოქისგან, როდესაც მოხდა ზოდიაქოს ნიშნებისთვის თანავარსკვლავედების შესაბამისი სახელების დარქმევა, მაშინ, როდესაც ცის კაბადონზე თანავარსკვლავედების განლაგება ზოდიაქოს ნიშნების განთავსებას ემთხვეოდა).

ხოლო ე.წ. მე-13 ზოდიაქო, გველისმჭერი, უფრო მისტიკური ხასიათისაა (ბევრი ასტროლოგის აზრით მდებარეობს მორიელსა და მშვილდოსანს შორის) და მისი ვითომდა “აღმოჩენა” არ ახდენს ადამიანის ზოდიაქოს ნიშანზე და ფსიქოტიპზე გავლენას და არც ზოდიაქოს ნიშნების საზღვრების გადანაცვლებას მოითხოვს. ანუ, როგორც აქამდე ხელმძღვანელობდით ტყუპების ზოდიაქოთი, კვლავაც ამ ნიშნით უნდა იხელმძღვანელოთ.

ამ ზოდიაქოს შესახებ დიდი ხანია ცნობილია, მაგრამ ეს თემა რატომღაც ამ ბოლო დროს

გახდა პოპულარული, ან “ძალადპოპულარული” სახელის მოხვეჭის მსურველი ერთ-ერთი ამერიკელი ასტრონომის (და არა ასტროლოგის), პარკ კუნკლესა და სენსაციების მოყვარე ჟურნალისტების ხელშეწყობით.

ისე, აჟიოტაჟის ატეხვა მართლაც კარგად გამოუვიდათ, თუმცა ასტროლოგიით დაინტერესებული ადამიანები კარგად ხედავენ ამ მოსაზრების აბსურდულობას”.

**კონსტანტინე ლოგოსი:**

- ზოდიაქოს ნიშნების პერიოდების ცვლილებასთან დაკავშირებით: ეს არის სრული დეზინფორმაცია. და მიზეზები შემდეგია:

1) ის ფაქტი, რომ ვარსკლავური ცა იცვლის თავის ადგილსამყოფელს 71,5 წელიწადში 1 გრადუსით - აღმოაჩინა არა ნასამ, არამედ ჰიპარქემ ჯერ კიდევ მე-2 საუკუნეში ჩვენს წელთაღიცხვამდე. შესაბამისად ერთი ზოდიაქალური თანავარსკლავედის გავლას სჭირდება დაახლოებით 2145 წელიწადი, დროის ამ შუალედს ეწოდება ვარსკლავური ერა. აქედან გამომდინარე ერთი და იგივე რიცხვი დღეს და 2000 წლის წინ - შეიძლება განსხვავებულ ზოდიაქალურ თანავასრკლავედს ეკუთვნოდეს.

2) ზოდიაქალური თანავარსკლავედები და ზოდიაქოს ნიშნები არ არის ერთი და იგივე. ზოდიაქალური თანავარსკლავედები არის 13, თითოეულის პერიოდი არის განსხვავებული ხანგრძლივობის. ზოდიაქოს ნიშნები არის 12 თანაბარი 30 დღიანი სექტორი, რომელთა ათვლის წერტილია მზის ბუნიობა, ეს დღე კი უცვლელად არის 20-21 მარტი. ანუ ყოველი წლის 20-21 მარტს დედამიწის ეკვატორი კვეთს მზის გასავლელ გზას(ეკლიპტიკას), ამ წერტილს უწოდებენ გაზაფხულის ბუნიობას. ეს არის ვერძის საწყისი წერტილი, ზოდიაქოს რკალის საწყისი წერტილი. დასკვნა: ზოდიაქოს ნიშნების პერიოდები არ შეცვლილა. ნუ ავრცელებთ დეზინფორმაციას!

**დავით ნიბლაძე:**

- თქვენ ისევ ის ზოდიაქოს ნიშნები ხართ, რაც იყავით. არაფერი შეცვლილა. დროდადრო ჟურნალისტები (და არამარტო) რეიტინგისთვის “შოკისმომგვრელ აღმოჩენებს” აკეთებენ, რომლებიც სულაც არაა ახალი ამბავი არც ასტრონომებისთვის და არც ასტროლოგებისთვის. მსგავსი ტიპის ინფორმაცია ერთი 2011-ში და მეორე 2015-ში გავრცელდა (მე რაც მახსოვს). ამჯერადაც სოციალური ქსელები მსგავსი არასწორი ინფორმაციით დავირუსდა. საქმე რაშია, თანავარსკვლავედების მდებარეობის შეცვლა სულაც არ ნიშნავს იმას, რომ თქვენი ზოდიაქოს ნიშანი შეიცვალა. დედამიწის გარშემო სივრცე 12 ზონად უკვე დაყოფილია და ამას ვერც თანავარსკვლავედების გადაადგილება შეცვლის და ვერც ახალი პლანეტის აღმოჩენა. მე-13 ზოდიაქოს ნიშანიც უკვე ძალიან მოძველებული თემაა, ამიტომ ამაზე საუბრით არც მე მოვცდები და თქვენს დროსაც დავზოგავ. ვერძები ისევ ვერძები ხართ, თევზები ისევ თევზები, ლომები ისევ ლომები და ა.შ. :) თუ ვინმეს გეცნოთ თქვენი “ახალი ნიშნის” თვისებები და ხასიათის გარკვეულ ნაწილში საკუთარი თავი აღმოაჩინეთ, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ხშირად პერსონალური პლანეტები წინა ნიშანში ხვდება ან რომელიმე ასპექტი განაპირობებს მსგავსი თვისებების ჩამოყალიბებას. მაგალითად, მე ზოდიაქოს ნიშნით (მზე) თევზები ვარ, “ახალი” სისტემით მერწყული აღმოვჩნდი. მაქვს მერწყულის თვისებებიც, მაგრამ არა იმიტომ, რომ ზოდიაქოს ნიშნით მერწყული ვყოფილვარ, არამედ იმიტომ, რომ მერკური (გონება, აზროვნება, ლოგიკა, კომუნიკაცია) მაქვს მერწყულში, ამას ემატება მარსისა და ურანის შეერთება (რომელიც მერწყულის მმართველი პლანეტაა) და ა.შ. ნუ აყვებით პროვოკაციას. არ ვაპირებდი ამ თემაზე კომენტარის გაკეთებას (იმიტომ, რომ აბსურდია), თუმცა იმ უამრავ შეტყობინებაზე ცალკ-ცალკე პასუხის გაცემას, რომელიც დღეს და გუშინ მივიღე, ვამჯობინე, ყველასათვის ღიად დამეწერა ეს ყველაფერი.

**რამაზ გიგაური:**

- ზოდიაქოს ნიშნების საზღვრების შეცვლა არის დიდი სისულელე სკანდალური სათაური არის. ახლა დანარჩენი წაიკითხეთ... ინტერნეტში ახალი სტატია გავრცელდა, თითქოს NASA წერს, რომ თანავარსკვლავედების მოძრაობის გამო ზოდიაქოს ნიშნებმა საზღვრები შეიცვალეს. მსგავსი სტატია 2011 წელსაც გავრცელდა, სადაც ამერიკელი ასტრონომიის მასწავლებელი ზოდიაქოს ნიშნებში მე-13 თანავარსკვლავედის “ჩაკერებას” ითხოვდა. ეს არის აბსურდი, რადგან თანავარსკვლავედების სისტემა არის სხვა და ზოდიაქოს ნიშნების სხვა. წერტილი. თუ რაშია განსხვავება, კომენტარებში დავდებ ჩემს 2011 წელს დაწერილ სტატიას, აქაც იგივე რომ არ ვწერო. მსგავსი თემები არის “ფეიკი”, რათა ადამიანების დაინტერესება მოხდეს. იმიტომ, რომ “სკანდალი გვინდა ჩვენ, სკანდა-ლი”. მერე ასეთი კომენტარები რომ დაიწეროს: “უიიიი, დედას ვფიცავარ, ჩემი თავი ტყუპი მეგონა და კურო ვყოფილვარ და ბალახი უნდა ვჭამოოოოო. არ მაწყობს რა” და ა. შ. ეს არის იმის მსგავსი თემა 2012 წლის 21 დეკემბერს მაიას კალენდრით აპოკალიფსი რომ უნდა მომხდარიყო.

ჯერ კიდევ 2010 წელს, “იმედზე” გადაცემა “შუადღეში” ია ფარულავასთან, ნანიკო ხაზარაძესთან და დოდოშკა ხურცილავასთან ვთქვი, რომ 22 დეკემბერს ჩემთან ჩაიზე გეპატიჟებით-მეთქი, ანუ არაფერი მოხდება-მეთქი. იგივე გავიმეორე 2012 წლის ნოემბრის ბოლოს თუ დეკემბერში “კავკასიაზე”, ნინო ჯანგირაშვილის გადაცემაში ვიყავი მიწვეული, ამ თემაზე, ცხონებული ჯუმბერ ლომინაძე და კიდევ ერთი ასტრონომი იყო. ფსიქოლოგებიც იყვნენ. ასტროლოგებიდან მხოლოდ მე ვიყავი. რატომ მე? იმიტომ, რომ მე ვიყავი “არაფერიც არ მოხდება” ვერსიის მომხრე. სხვა ასტროლოგები რას ამტკიცებდნენ არ დავიწყებ საუბარს, 2012 წლის დეკემბერში რუსთავი 2-ზე, P.S.-შიც გავიდა ამ თემაზე გადაცემა და იქაც არის ჩანაწერი. ყველგან ერთი და იგივე რამეს ვამბობდი, რომ 22 დეკემბერს ჩაიზე გეპატიჟებით-მეთქი. თუმცა მერე ეს ჩემი “ჩაის დალევა” სხვა ასტროლოგმა მიიწერა სათნო სახით და ჩემმა საქვეყნოდ ცნობილმა ჩაისტობამ დალია ჩაილურის წყალი. (ერთი ჩემი მეგობრის არ იყოს, “ყავა მაინც ეთქვა მაგ კრეტინსო”).

**მოკლედ, ზოდიაქოს ნიშნების საზღვრები არ იცვლება. ბასტა. როცა მატარებელში, დავუშვათ მე-7 ადგილზე ზიხართ, მნიშვნელობა არ აქვს მატარებელი თბილისშია, ხაშურში თუ ბათუმში, თქვენი მე-7 ადგილი არის. P.S. თუ შემეკითხებით “ბილეთი თუ გავუცვალე გვერდით მჯდომს”, წინასწარ გიპასუხებთ, ვერ გაუცვლით, რადგან ბილეთების გაცვლა, “დაკრიშვა” და ეგეთი მამაძაღლობები აქ, დედამიწაზე ხდება, თორემ კოსმოსში ეგეთი რამეები არ მოსულა.**

---

დედოფლისწყაროს №4 ბაგა-ბაღის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ბაგა-ბაღის დირექტორს ხათუნა ხატიაშვილს მეუღლის

ივანე ქოქიაშვილის

გარდაცვალების გამო.

---

## ბელურა მაჩაბლიშვილი

ჩემო, უსაყვარლესო მეუღლევ, ხომ იცი ნამდვილი სიყვარული არასოდეს არც ქრება და არც კვდება. ოთხი წელი გავიდა 21 სექტემბერს, რაც ამქვეყნიური ცხოვრებიდან წახვედი, მაგრამ გჯეროდეს ისევ, ისე გვიყვარხარ და უფრო მეტად გვტკივა გულები. სულ გიხსენებთ სიყვარულით, ვიგონებთ შენ და ჩემს განვლილ ახალგაზრდულ წლებს. იცოდე და გჯეროდეს, ძალიან, ძალიან დაგვაკლდა შენი ხელი. შენ ხომ იყავი ნამდვილი ცოლ-შვილის პატივისმცემელი ადამიანი. არასოდეს არ დაავიწყდება შენს შვილებს და შვილიშვილებს შენი ამაგი. ნუგზარის ჩვენს მაგიერ მოეფერე და თავზე ხელი გადაუსვი, იყავით ყველას მფარველები და ნათელში იყოს თქვენი კეთილი სულები.

**მეუღლე** ციცინო გონაშვილი

ნანა და ბეჟან მაჩაბლიშვილების ოჯახები.

---

**გახსენება**

## ზაზა ტუხაშვილი

თბილი და ლამაზია შემოდგომა, მაგრამ ცივი და უგულო, 22 სექტემბერი, რომელმაც შენი თავი წაგვართვა. შვილო ზაზა, უკვე 2 წელია, რაც ამ ქვეყნიდან წახვედი და მარადიულობაში დაიდე ბინა. გაუსაძლისია სიცოცხლე, რაც ბედმა შენს ახლობლებს გვარგუნა. დღემდე ველოდები შენ ძახილს დედა, შენი ფეხის ხმა მესმის კიბეზე, მოლოდინი, რომ კარი გაიღება და შემოხვალ, მაგრამ ეს არ ხდება.

ულმობელია დრო და წუთისოფელი, მიდის და გაიძულებს, გაგიყოლიოს და შეაგუოს დარდს და ტკივილს, მაგრამ, შვილო ზაზა, შენი დაკარგვის ტკივილს არაფერი არც კურნავს, არც ანელებს.

ძნელია შეეგუო იმ აზრს, რომ ზაზა, რომელიც ამ ქვეყნად სიკეთისთვის დაიბადა, დღეს ჩვენს გვერდით აღარ არის, ამას ყველა შენი ნაცნობი დღემდე იმეორებს. შენ არასოდეს არჩევდი მდიდარს თუ ღარიბს, მოხუცს თუ ავადმყოფს, ყველა ერთნაირად გიყვარდა, ყველას ტკივილი გტკიოდა და სიხარული გიხაროდა. ყოველ წუთს მზად იყავი დახმარების და სიკეთის კეთებისთვის.

ზაზა, დღემდე ყველას ტკივილით ახსოვხარ და დანანებით იგონებენ იმ შემზარავ დღეს, შენი თავი რომ წაგვართვა, ყველა ნაცნობი ასე იწყებს: რა კარგი და კეთილი შვილი გყავდათ, უფალსაც კარგი უნდაო. ყველას გულწრფელობის მჯერა, რადგან შენ ცუდს ვერავინ გაიხსენებს.

ეკლესიაში სიარული გაძლევს რწმენას, სულის უკვდავების რომ გწამდეს. ლოცვა და სანთელი არ მოვაკლოთ ჩვენი გარდაცვლილი ახლობლების სულებს, რათა ჩვენი შეწევნით იმათმა სულებმა დაიმკვიდრონ ნათელი ცათა სასუფეველში.

წმინდა მამა ნეტარი ავგუსტინე ასე გვასწავლის ახლობლის, შვილის დაკარგვით შეწუხებულ ადამიანებს: „სიკვდილი არა არის რა, მე მხოლოდ გაღმა მხარეს გავედი... რად გგონივარ შენს ფიქრთა გარეთ? იმიტომ რომ შენს თვალსაწიერის გარეთ ვარ? მე შორს არა ვარ, ზუსტად გზის გადაღმა ვარ“..

გწამდეს, როცა სიკვდილი შენც აგყრის ბორკილებს, როგორც მე ამყარა, როცა ერთ დღესაც, მხოლოდ ღვთისთვის ცნობილ და ღვთისგან დადგენილ დღეს შენი სულიც სასუფეველში შევა, სადაც ჩემმა სულმა შეგასწრო, იმ დღეს კვლავ შევხვდებით...

შეიშრე ცრემლი და ნუ სტირი, თუ მართლა გიყვარვარ“...

ამას სანუგეშო ჰქვია, ნუგეში შვილდაკარგული მშობლებისთვის შეუძლებელია, მაგრამ მინდა ამ ყველაფრის მჯეროდეს, რომ მალე მოხდება უშენობით გამწარებული შენი მშობლების შენთან შეხვედრა. მანამდე კი დედაღვთისმშობელს ვავედრებ შენს სულს, დაგიფაროს და დაგიმკვიდროს სასუფეველი, მართალთა გვერდით ჩვენს მოსვლამდე.

ნათელში იყოს შენი ლამაზი სული, შვილო ზაზა, ამინ!

**დიდი ტკივილით, მშობლები:** გივი და ეთერ ტუხაშვილები, **ძმა** ზურიკო, **რძალი** მარინა, **ძმისშვილები:** ილია, ანა, გიორგი.

## ულოცავენ!

### ბეჟან (ბაჩუკი) გონაშვილს!



ჩვენო ბაჩუკი, გაზეთ „შირაქის“ რედაქცია მას მერე მისდევს ფეხდაფეხ შენს ცხოვრებას, როცა ჯერ კიდევ 23 წლის ენთუზიაზმით სავსე ახალგაზრდა, მეგობრებთან ერთად, სათავეში ჩაუდექი სოფელ სამთაწყაროს. მას მერე ბევრმა წყალმა ჩაიარა, სად არ ილვაწე და რა არ გადაგხდა: რაიონს არაერთხელ ედექი სათავეში თუ ორგზის პარლამენტის მანდატს ფლობდი, ყოველთვის შენს ხალხზე, მშრომელ ადამიანებზე ზრუნავდი, სამართლიანობისთვის იბრძოდი. რამდენი კანონპროექტი, რამდენი ინიციატივა, რამდენი საპარლამენტო კომიტეტების მიზნობრივი გასვლითი სხდომა ითვლება შენს ანგარიშზე. მებრძოლი სულის, დაუდგრომელ-დაუღალავი, ერთნაირად ირგებდი ჰალსტუხს და მიკროფონს და სამუშაო ჩექმას და ქურთუკს, არასოდეს გეთაკილებოდა ფიზიკური შრომა და ამით ხარ სწორედ გამორჩეული. კარგი მეურნე და პოლიტიკოსი შესანიშნავი ოჯახის პატრონი ხარ. მეუღლესთან- ლია კობაიძესთან ერთად ოთხი შესანიშნავი შვილი გაუზარდე ქვეყანას, ისეთი, ნებისმიერი ადამიანი რომ იამაყებს.

დიდხანს იცოცხლე, იყავ ჯანმრთელი და ბედნიერი. საიუბილეო 60 წლისთავს გილოცავთ და ვისურვებთ, ბევრი ჰყავდეს ჩვენს ქვეყანას შენისთანა ადამიანი. სულ მუდამ ვიყავით შენი გულშემატკივრები და დღესაც სიამოვნებით ვუერთდებით იმ მრავალრიცხოვან მომლოცველთა რიგს, რომელიც წრფელი სიყვარულით, პატივისცემით და დაფასებით მოგილოცავს ამ მნიშვნელოვან თარიღს.

წინ კიდევ ბევრი გაქვს საკეთებელი, ხელმომართული და დალოცვილი იყავ უფლისგან.

**პატივისცემით და სიყვარულით,**
შენი ერთგული „შირაქელები“.

### ბაჩუკი გონაშვილს!

ჩვენი ოჯახის დიდო იმედო და სიამაყევ, გილოცავთ დაბადების 60 წლისთავს. იყავ ჯანმრთელი, ისეთივე მხნე და შემართული, როგორიც დღემდე. შენ ჩვენთვის ცხოვრების გზამკვლევი და მისაბაძი ადამიანი ხარ. ყველა მოვალეობას, რასაც კი ბუნებამ გიბოძა, შესანიშნავად გაართვი თავი: ხარ ერთგული მეუღლე, მზრუნველი მამა და პაპა, წარმატებული მოქალაქე. ყოველთვის ვგრძნობთ შენს დიდ სიყვარულს და სითბოს. ღმერთს ვავედრებთ შენს ხანგრძლივ სიცოცხლეს. იყავ ბედნიერი ჩვენით და ჩვენთან ერთად. ყველას ძალიან გვიყვარხარ!

**მეუღლე** ლია კობაიძე, **შვილები:** ბექა, ნათია, ბიძინა, ნატალი, **რძალი** ნინო ბახტაძე, **სიძე** დავით ჭრელაშვილი, **შვილიშვილი** ბაჩუკი გონაშვილი.

### ბეჟან (ბაჩუკი) გონაშვილს!

ბატონო ბეჟან, ჩვენ ბედნიერები ვართ, რომ თქვენთან ერთად „წლის ადამიანის“ ტიტული მოგვენიჭა. ღირსეულთა შორის ღირსეული ხართ, ვინც ამ წოდებას იმსახურებს. თქვენი შრომითი ბიოგრაფია და ადამიანური ურთიერთობები მისაბაძია. ორგზის რაიონის თავკაცს და ორგზის პარლამენტარს ღირსეული ცხოვრების გზა გაქვთ განვლილი. გილოცავთ 60 წლის იუბილეს. გისურვებთ წარმატებებს თქვენს საქმიანობაში, გამრავლებას და გახარებას – პირად ცხოვრებაში.

**პატივისცემით,**
„წლის ადამიანის“ ნომინანტები: ზაზა აზმაიფარაშვილი, რევაზ ტაკიძე, გოგი ჭიჭინაძე, გიორგი კეკელიძე და რომან მჭედლიშვილი.

### ბაჩუკი გონაშვილს!

ჩვენო ძვირფასო, გილოცავთ დაბადების 60 წლისთავს. სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და გახარებას გისურვებთ. იყავ ბედნიერი შენს დიდ ოჯახთან ერთად. ჩვენ ამაყები ვართ შენით, გვიყვარხარ და გვეიმედები, რადგან შენნაირი ადამიანი დიდი საყრდენია ახლობლებისა და გარშემომყოფებისთვის. ძალიან გვიყვარხარ და გაფასებთ.

**დედა** მერი ჯოჟლამაზაშვილი, **ძმა** ვაჟა, **რძალი** ლია მაისურაძე, **ძმიშვილები:** მეკო და გურამი, **სიძე** ვასიკო, **ძმის შვილიშვილი** გიორგი ჯიჭონაიები.

### ვასიკო ყოჩიაშვილს და მარინე ქორიძეს!

მოგვიანებნით, მაგრამ გულწრფელი სიყვარულით ვუერთდები თქვენს დიდ სიხარულს, შვილიშვილის – კესოს უმაღლესში მოწყობასთან დაკავშირებით. დაე, ყოველთვის თქვენს ოჯახში სუფევდეს სიყვარულის და სიხარულის დღეები. ჩემო კესო, პირადად შენ გილოცავ, უმაღლეს სასწავლებელში მოწყობას. მუდამ გახსოვდეს და არ დაივიწყო შენი ამაგდარი  ადამიანები, რომლებმაც საფუძველი მოგცეს, ლამაზად მოგეწყო შენი ცხოვრება. მაგონდება შენი ბავშვობა ჩვენს უბანში რომ იზრდებოდი, როგორ გეფერებოდით ყველა.

ციცინო გონაშვილი მაჩაბლიშვილი

# თამარ მეფის კაბა 5 000-მდე მარგალიტითა და 300-ზე მეტი ძვირფასი ბალთით გაფორმდა

თამარ მეფის კაბას, რომელიც მე-20 საუკუნეში ცნობილმა თეატრალურმა მხატვარმა სოლიკო ვირსალაძემ ფრესკების მიხედვით აღადგინა, რესტავრაცია ჩაუტარდა. ატლასითა და აბრეშუმით შექმნილი სამოსი 5 000-მდე მარგალიტით, 155 ვერცხლის ბალთითა და ამდენივე მოოქროვილი ვერცხლის ბალთით გაფორმდა. როგორც კახეთის საინფორმაციო ცენტრს საქართველოს ხელოვნების მუზეუმის დირექტორმა გიორგი კალანდიამ განუცხადა, კაბის გასაფორმებლად ძვირფასი ქვები მსოფლიოს რამდენიმე ქვეყანაში შეიძინეს.

მისივე თქმით, თვლების სიმრავლის გამო სამოსი საკმაოდ მძიმეა: „სოლიკო ვირსალაძე წერდა, რომ თამარის კაბა ჰაეროვანი არ ყოფილა, ის საკმაოდ მძიმე იქნებოდა, ადამიანს მისი ტარება გაუჭირდებოდა, ამიტომ, როგორ ჩანს, თამარი ამ კაბას მხოლოდ საზეიმო დღეებში იცვამდა, ელჩობებზე სულ რამდენიმე საათით“, - აღნიშნა ხელოვნების მუზეუმის დირექტორმა.

გიორგი კალანდიას თქმით, თამარ მეფის კაბა სოლიკო ვირსალაძემ ისტორიული ქსოვილით აღადგინა, თუმცა მისი სათანადოდ გაფორმება ვერ შეძლო. თეატრალური მხატვრის სურვილი, რომ კაბას ისტორიული ძვირფასი ქვები ჰქონოდა, 21-ე საუკუნეში დავით ბეჟუაშვილის განათლების ფონდის დაფინანსებით განხორციელდა.

„სოლიკო ვირსალაძის მიზანი იყო, ქართველ მონარქთა სამოსი, რომელიც ისტორიული ავბედითობის გამო შემორჩენილი არ არის, ქართული ფრესკების მიხედვით აღედგინა. მან ხელოვნების სასახლეში დაცული ჩანაწერების მიხედვით რამდენიმე რეგიონში იმოგზაურა, დაათვალიერა ქართული ტაძრები, მათ შორის ბეთანია, ყინწვისი, ვარძია და ცნობილი ფრესკებიდან გადმოიხატა თამარის კაბის ესკიზები. შემდეგ ეს ყველაფერი გადაიტანა ნაჭერზე. ის ძალიან კარგად იცნობდა ქართულ ისტორიულ ქსოვილს. მისი ჩანაფიქრი იყო, რომ ქსოვილზე გადატანასთან ერთად ნაჭრებზე აღმოჩენილიყო ის ისტორიული ძვირფასი ქვები, რომელიც თავის დროზე ალბათ ამ კაბებზე არსებობდა. ამისთვის საბჭოთა საქართველოს მთავრობას მიმართა, მაგრამ მათ, რა თქმა უნდა, მხარი არ დაუჭირეს, რადგან მონარქიას ეხებოდა. სოლიკო ვირსალაძემ ყველაფერი ეს აღადგინა ბუტაფორიული ქვებით, ე.წ „ბიჟუტერიით“, თუმცა თავის წერილში ჩაწერა, რომ დარწმუნებული იყო, საქართველოში დადგებოდა ის დრო, როდესაც ამ კაბას დაუბრუნდებოდა თავისი ძვირფასი ისტორიული ქვები.

ეს დროც დადგა, მივმართეთ დავით ბეჟუაშვილის საგანმანათლებლო ფონდს და მათ დაუფიქრებლად დააფინანსეს ეს პროცესი. თამარის კაბისთვის მსოფლიოს რამდენიმე ქვეყანაში შევისყიდეთ ე.წ ანდალუსიური მარგალიტები, რომელიც თავის დროზე საქართველოში იყო გავრცელებული“, - განუცხადა კახეთის საინფორმაციო ცენტრს გიორგი კალანდიამ.

მისივე თქმით, დავით ბეჟუაშვილის საგანმანათლებლო ფონდმა თამარის კაბისა და რამდენიმე სხვა კოსტიუმის რესტავრაციისთვის 10 000 ლარი გამოყო: „ეს მხოლოდ მასალის თანხაა. ჰონორარებზე თანხა არ გაგვიცია, რესტავრაციაზე მუზეუმი უსასყიდლოდ მუშაობს“, - განმარტა კალანდიამ.

თამარის კაბა საქართველოს ხელოვნების მუზეუმშია დაცული. მალე სამოსი გუგლის პლატფორმაზეც განთავსდება და მისი ნახვა ხელოვნების მუზეუმის გუგლის ვირტუალურ გალერეაშიც იქნება შესაძლებელი.


## ყურადღება!

მოვამზადებ საშუალო სკოლის მოსწავლეებს და აბიტურიენტებს ქიმიაში კვირაში 3 დღე, 2-2 საათი. გადასახადი - 40 ლარი.

ქ. დედოფლისწყარო, ჰერეთის ქუჩა N131 (ყოფილი სტალინის ქუჩა),

**გამოცდილი მასწავლებელი** დარეჯან ყოჩიაშვილი


## ანონსი

ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალი ჰორიზონტი“ კავკასიური სახლის მცირე გრანტების პროგრამის ფარგლებში, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის მხარდაჭერით, ახორციელებს პროექტს „ვაჟა -ფშაველას სტუმარ-მასპინძელი“ და კავკასიელი ხალხების სტუმარ-მასპინძლობის ტრადიციები ქ. დედოფლისწყაროს კულტურის სახლის სცენაზე“.

ეს გახლავთ ორგანყოფილებიანი წარმოდგენა, რომელშიც მონაწილეობას იღებენ ახალგაზრდული თეატრ „ბერიკონის“ ნორჩი მსახიობები და სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენლები. პროექტის მიზანია, ვაჟა-ფშაველას ფილოსოფიური და მაღალმხატვრული ღირებულების ნაწარმოების საშუალებით კავკასიის ხალხთა, სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენელთა ტრადიციების სცენაზე გაცოცხლება, ურთიერთსიყვარულის, ტოლერანტობის და თანადგომის ღირებულებების ისტორიულ ასპექტში გააზრება და თანამედროვეთა ურთიერთობებსა თუ რეალურ ცხოვრებაში გადმოტანა ხელოვნების ენით, ამ ადამიანთა დამეგობრებისა და თანამშრომლობის პრეცედენტების შექმნა.

**თეატრალურ წარმოდგენაზე დასასწრებად გთხოვთ, გვეწვიოთ ქ. დედოფლისწყაროს კულტურის სახლში 23 სექტემბერს, 16.00 საათზე.**

პროექტის საინფორმაციო მხარდაჭერას უზრუნველყოფს გაზეთი „შირაქი“.


## ყურადღება, სიახლე!

ქ. დედოფლისწყაროში, გელოვანის ქ.N44-ში გაიხსნა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი 300-კაციანი საბანკეტო დარბაზი „ნიკა“. მოსახლეობას საშუალება ექნება გამართოს როგორც სადღესასწაულო, ასევე სამგლოვიარო ხასიათის ღონისძიებები. გვესაჭიროება ახალგაზრდა გოგონები მიმტანის პოზიციაზე, ასევე გვაქვს ჭურჭლის მრეცხავის და მზარეულის ვაკანსია.

☎
599 731595; 593 14 45 28, ანზორი.

## ყურადღება!

თუ გსურთ საზეიმო ან სამგლოვიარო წვეულების გადახდა, ეწვიეთ საბანკეტო დარბაზს **ქ. დედოფლისწყაროში, ბარათაშვილის ქ. №8ა (ჯარის წყალთან).**

დარბაზს აქვს შესაძლებლობა, მოემსახუროს 150-დან 200 კაცამდე.

გარემო კომფორტულია, მომსახურება – მაღალი ხარისხის, ფასები – ხელმისაწვდომი. ისარგებლეთ, კმაყოფილი დარჩებით.

**მსურველები შეგიძლიათ დაუკავშირდეთ**
☎ 599 90 25 82 ან 591 41 03 67.


## ამინდი დედოფლისწყარო

| ორშაბათი 19.09 | | სამშაბათი 20.09 | | ოთხშაბათი 21.09 | | ხუთშაბათი 22.09 | | პარასკევი 23.09 | | შაბათი 24.09 | | კვირა 25.09 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე |
| 19 ° | 16 ° | 18 ° | 17 ° | 20 ° | 18 ° | 22 ° | 17 ° | 20 ° | 18 ° | 17 ° | 16 ° | 18 ° | 17 ° |


გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ტელ. 0 356 22 55-49; 598 72-18-72 (დირექტორი) 591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.